ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი, _____ ივლისი 2025 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი ფართების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი ფართების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასური, თანახმად დანართისა.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტების სარგებლობაში განკარგვის შესახებ და განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი ფართების) საწყისიწლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი უძრავი ქონების (არასაცხოვერებელი ფართების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქონების შემდგომში განკარგვის მიზინით განისაზღვროს წლიური სარგებლობის საფასური სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ს 2025 წლის შეფასებიდან გამომდინარე.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულების მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასური.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების
და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**

						დანართი
№	**საკადასტრო კოდი**	**დასახელება**	**მისამართი**	**ფართი (კვ.მ.)**	**წლიური სარგებლობის საფასური (ლარი)**	**შენიშვნა**
1	05.24.05.305.01.001	არასაცხოვრებელი №1	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	33.90	11900	საპირფარეშო
2	05.24.05.305.01.002	არასაცხოვრებელი №2	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	43.80	17600	კომერციული
3	05.24.05.305.01.003	არასაცხოვრებელი ფართი №3	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	43.39	17435	კომერციული
4	05.24.05.305.02.502	არასაცხოვრებელი ფართი №1	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	28.51	10005	საპირფარეშო
5	05.24.05.305.02.500	არასაცხოვრებელი ფართი №2	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	42.27	17000	კომერციული
6	05.24.05.305.02.501	არასაცხოვრებელი ფართი №3	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	44.51	17900	კომერციული
7	05.24.08.527.01.001	არასაცხოვრებელი ფართი №1	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	26.19	8800	საპირფარეშო
8	05.24.08.527.01.002	არასაცხოვრებელი ფართი №2	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	33.46	12850	კომერციული
9	05.24.08.527.01.003	არასაცხოვრებელი ფართი №3	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	36.56	14100	კომერციული
10	05.24.08.527.01.004	არასაცხოვრებელი ფართი №4	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	35.49	13700	კომერციული
11	05.27.05.073.01.500	ფართი	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	25,01	8400	საპირფარეშო
12	05.27.05.073.01.501	ფართი	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	35.79	13800	კომერციული
13	05.27.05.073.01.502	ფართი	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	34.85	13400	კომერციული
14	05.27.05.073.01.503	ფართი	ქალაქი ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი	35.16	13500	კომერციული